გაიმარჯვა მან, ვინც იბრძოლა

ვოროშილოვგრადი. “ავანგარდის” სტადიონი. 26 აგვისტო.

“ზარია” (ვოროშილოვგრადი) – “დინამო” (თბილისი) 3:0 (0:0).

“ზარია”: ტკაჩენკო, პინჩუკი, მალივინი, ს. კუზნეცოვი, ვასენინი (მოროზოვი), ჟურავლიოვი, ვ. კუზნეცოვი, პოპოვი, შაკუნი, კუკსოვი, ონიშჩენკო.

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, ებრალიძე, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, ყიფიანი (მჭედლიშვილი), ლ. ნოდია.

მსაჯი: ი. ლუკიანოვი (მოსკოვი).

გაფრთხილებულია მალიგინი.

დუბლიორები – 7:6 “ზარიას” სასარგებლოდ (პენალტებით. ძირითადი დრო – 3:3).

ვოროშილოვგრადელი ფეხბურთის მოყვარულნი დიდი ინტერესით მოელოდნენ თბილისელ ფეხბურთელთა გამოსვლას მათს სტადიონზე. ჯერ ერთი, თბილისის “დინამოს” ავტორიტეტი ძალზე მაღალია აქაურ გულშემატკივართა შორის, მეორეც – სატურნირო მდგომარეობა ორივე გუნდს აიძულებდა ყველაფერი გაეკეთებინა წარმატების მოსაპოვებლად და მესამე – თბილისელებმა ხომ სულ რამდენიმე დღის წინ მოიგეს ძალზე ძნელი, მნიშვნელოვანი ტურნირი ესპანეთის ქალაქ უელვაში, სადაც დაამარცხეს საქვეყნოდ განთქმული გუნდები – პორტუგალიის ჩემპიონი “ბენფიკა” და ესპანეთის ჩემპიონი “ატლეტიკო”.

გულახდილად უნდა გითხრათ, რომ უელვას ტურნირში გამარჯვებულებმა თავიანთი შესაძლებლობის მცირე ნაწილიც კი ვერ გვიჩვენეს, განსაკუთრებით პირველ ტაიმში. ტრიბუნებზე გაოცებულნი კითხულობდნენ თბილისის “დინამოა” ეს თუ არაო?

გაკვირვებას იწვევდა ტაქტიკა, რომელსაც სტუმრებმა მიმართეს დასაწყისში. გუნდმა უკან, თავისი საჯარიმო მოედნისკენ დასწია მთავარი ძალები, აქ ებრძოდა მეტოქეს და მხოლოდ იშვიათად, ეპიზოდურად თუ გადავიდოდა იერიშზე. თამაში თითქმის ცალ კარში მიმდინარეობდა, ანგარიშის გახსნა შეეძლოთ ონიშჩენკოს, ს. კუზნეცოვს, კუკსოვს, შაკუნს. ერთი სიტყვით, უკიდურესად პასიურმა ტაქტიკამ თბილისელები თავიდანვე გაწირა წასაგებად, თუმცა ტაიმი მათ “მშვიდობიანად” დაამთავრეს.

ანგარიში გაიხსნა 51–ე წუთზე, როცა დინამოელებმა თავიანთ საჯარიმო მოედანზე წააქციეს შაკუნი და მსაჯმა 11–მეტრიანი დანიშნა. პენალტი ზუსტად შეასრულა ჟურავლიოვმა – 1:0.

დინამოელები მხოლოდ ამის შემდეგ გამოფხიზლდნენ და რამდენიმე სწრაფი, სახიფათო კონტრშეტევა განახორციელეს. საპასუხო ბურთის გატანის ნაღდი შესაძლებლობა მიეცა ასათიანს, რომელიც უკიდურესად ხელსაყრელ პოზიციაში წამით შეფერხდა და საშუალება მისცა ს. კუზნეცოვს ეხსნა მდგომარეობა.

მატჩის დასასრულს ათიოდე წუთი აკლდა, როცა მასპინძლებმა კვლავ შეუტიეს და მოროზოვმა მეორედ აიძულა თბილისელები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში, ხოლო 64–ე წუთზე ონიშჩენკომ კიდევ ერთი ბურთი მოათავსა სტუმრების კარის ბადეში და “ზარიას” გამარჯვება რეალობად იქცა.

რ. კლიმენკო (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).
“ლელო”, 28 აგვისტო, 1973 წ.